კახაბერ დემეტრაშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველო სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში (XVII საუკუნის პირველი მეოთხედი)

აბსტრაქტი

1603 წელს, სეფიანთა ირანმა, სათანადო მომზადების შემდეგ, დაიწყო ომი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, სადაც, თავდაპირველად, წარმატებებს მიაღწია. ამავე დროს ირანის ხელისუფლებამ განაახლა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვის სახელმწიფოსთან, რადგან ეს ქვეყანაც ოსმალეთის მოწინააღმდეგე იყო.

ხსენებულ ომში ირანის შაჰმა, აბას I (1587-1629), თავისთან დაიბარა ჯარით ქართლისა და კახეთის მეფეები, რომლებიც თავგამოჩენისათვის დაასაჩუქრა: მათ ჯამაგირი გაუჩინა და ირანში გარკვეული ტერიტორიები უბოძა. სამაგიეროდ, ირანის მბრძანებელმა ქართველ მეფეებს დებედას ხეობა და კაკ-ენისელი ჩამოაჭრა და საქართველოს ტერიტორიაზე მუსლიმური ტომები ჩამოასახლა.

რაც შეეხება ირან-ოსმალეთის ომს, ის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ირანის მხარეს ოსმალეთთან ბრძოლაში კვლავ მოსკოვის სახელმწიფო ესახებოდა თავის ძირითად მომხრედ და მასთან ინარჩუნებდა დიპლომატიურ ურთიერთობას. თუმცა, ამავდროულად, მას არ მოსწონდა კავკასიაში რუსთა გამოჩენა და, განსაკუთრებით, ქართლისა და კახეთის სამეფოთა მესვეურების მოსკოვის სახელმწიფოს მიმართ დადებითი განწყობა.

ირანის შაჰი შეეცადა საქართველოს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ის რამდენჯერმე შემოიჭრა საქართველოში.

მოსკოვის სახელმწიფოს, საქართველოს წინააღმდეგ ირანის ასეთ აგრესიაზე მხოლოდ პროტესტით შემოიფარგლებოდა. როგორც ჩანს, მისთვის საქართველოს საკითხი დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის დიპლომატიურ ურთიერთობები შემდეგაც გრძელდებოდა, სადაც კავკასიისა და, მათ შორის, საქართველოს საკითხს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, კახეთის სამეფო, ქართლის სამეფო, სეფიანთა ირანი, მოსკოვის სახელმწიფო, ოსმალეთის იმპერია, კავკასია, კასპიის ზღვა, შაჰი აბას I, მეფე მიხეილ რომანოვი, მეფე ალექსანდრე II, მეფე თეიმურაზ I*

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანია აღნიშნულ პერიოდში საქართველოს როლის წარმოჩენა სეფიანთა ირანსა (სპარსეთი) და მოსკოვის სახელმწიფოს (რუსეთი) შორის დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე და იმ საკითხის განსაზღვრა, თუ რა ადგილი ეკავა საქართველოს ამ ორი სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში. როგორც ცნობილია, ათწლეულების განმავლობაში ოსმალეთის იმპერია და სეფიანთა ირანი ცდილობდნენ კავკასიაში გაბატონებას. ამ ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად მათ შორის წარმოებული ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. XVI საუკუნიდან მოსკოვის სახელმწიფო (რუსეთი) დაინტერესდა კავკასიისა და კასპიის ზღვით.

ოსმალეთის იმპერიამ 1578 წელს სეფიანთა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო (ოსმალეთ-ირანის 1578-1590 წლების ომი). მისი ძირითადი მიზანი იყო სამხრეთ კავკასიისა და დასავლეთ კასპიისპირეთის დაპყრობა და ვოლგა-ასტრახან-კასპიის სანაოსნო-სავაჭრო მარშრუტის ხელში ჩაგდება. [1] თავდაპირველად, ეს ომი ოსმალთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ოსმალებმა სამხრეთ კავკასიაში წარმატებებს მიაღწიეს და საკუთრივ ირანის ტერიტორიასაც შეუტიეს. [2] გართულებულმა სიტუაციამ აიძულა ირანის მთავრობის მესვეურები, მოკავშირე მოეძებნათ. მათ გაითვალისწინეს ოსმალეთის იმპერიის მიმართ მოსკოვის სახელმწიფოს მტრული განწყობა და არჩევანი მასზე შეაჩერეს.

1586 წელს ირანიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა, რასაც 1588 წელს მოსკოვის სახელმწიფოს მხრიდან ირანში საპასუხო ელჩობა მოჰყვა. სწორედ XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოებს შორის მუდმივ სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობებს.[3]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XVI საუკუნის 80-იან წლებში კვლავ განახლდა დიპლომატიური ურთიერთობები მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის. მოსკოვსა და კახეთს შორის გახშირდა ელჩების გაცვლა, რის შედეგადაც 1587 წელს მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ფიცის წიგნი“. აქვე დავამატებთ, რომ ამ ამბებიდან ორი წლის შემდეგ, 1589 წელს კი მეფე ალექსანდრე II-მ მეფე თევდორესაგან მიიღო მფარველობის ოფიციალური დადასტურება „წყალობის სიგელი“.[4] ამ ყველაფერს მოჰყვა მოსკოვის სახელმწიფოს უფრო მეტად გააქტიურება კავკასიაში.[5]

---

[1] მიხეილ სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. (თბილისი: „მეცნიერება“, 1971), 100-101; დავით კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები (თბილისი: „ჰოროსი XXI“, 2009). 401; ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI ს.) (თბილისი: „მეცნიერება“, 1995), 147-148.

[2] სერგი ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ (თბილისი: „მეცნიერება“, 1964), 79-83.

[3] კახაბერ დემეტრაშვილი, „სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80-იანი წლები)“, დუნია №1 (2023): 79-81.

[4] მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე) (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973), 145.

[5] ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I

რუსთა ამ ქმედებით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყვნენ ოსმალეთის სულთანი, ყირიმის ხანი და დაღესტნის შამხალი. მართალია, არც ირანის პოლიტიკურ წრეებში მოსწონდათ რუსთა გამოჩენა კასპიის ზღვის სანაპიროზე და განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ისინი ყველაფერზე თვალს ხუჭავდნენ, რადგან იმ პერიოდში ირანისთვის მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობა ყოვლად მისაღები იყო, საერთო მტრის - ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის კი არა, ირანის მხარე მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს სთავაზობდა ბაქოსა და დარუბანდს ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ.[6]

ირან-ოსმალეთის ზემოთ ნახსენები ომი 1590 წლის სტამბოლის საზავო ხელშეკრულებით დასრულდა სეფიანთა სახელმწიფოსთვის მეტად უარყოფითი შედეგით .[7]

როგორც ჩანს, ირანის ახალგაზრდა შაჰმა, აბას I-მა (1587-1629), ეს ზავი გამოიყენა რიგი საშინაო და საგარეო რეფორმების ჩატარებისთვის და 1603 წელს, სათანადო მომზადების შემდეგ, ომი განაახლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.[8] ასეთ ვითარებაში, სეფიანთა სახელმწიფოში მიიღეს გადაწყვეტილება, კვლავ გაეგზავნათ ელჩობა მოსკოვში, ამჯერად, ლაჩინ ბეგის მეთაურობით (1604-1605). ცნობილია, რომ ლაჩინ ბეგის ელჩობას მოსკოვში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. ეს ელჩობა 1603 წლის 28 აგვისტოს ჩავიდა მოსკოვში და სექტემბრის პირველ რიცხვებში აუდიენციაზე წარუდგა მეფე ბორის გოდუნოვს (1598-1605). უნდა ითქვას, რომ ამ ელჩობის მიზნის ან ბოიართა სათათბიროში ელჩებთან წარმოებული მოლაპარაკებების შესახებ, სამწუხაროდ, ცნობები არ არის შემონახული. შესაძლოა, ლაჩინ ბეგი მოსკოვში სამხედრო დახმარების სათხოვნელად იყო ჩასული, რადგან ზემოთ ნახსენები ომი ახალი დაწყებული იყო. ამ მოსაზრებას ის აძლიერებს, რომ 1604 წლის ზაფხულში მოსკოვიდან სამი პოლკი (10 ათასი მსროლელი) გააგზავნეს კავკასიაში, თუმცა ოსმალებთან ბრძოლაში რუსები დამარცხდნენ, დაკარგეს ჯარის ორი მესამედი და უკან დაიხიეს, რითაც მათ გაიუარესეს მდგომარეობა კავკასიაში.[9]

ოსმალეთის წინააღმდეგ 1603 წელს განახლებული ომი ირანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ამ ომში ირანის შაჰმა ქართველ მეფეებს თავისთან მოუწოდა. ქართლის მეფე გიორგი X (1600-1605) და კახეთის მეფე ალექსანდრე II თავთავიანთი ლაშქრითურთ, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, შაჰ აბასის ბანაკში გამოცხადდნენ და მიიღეს მონაწილეობა ერევნის ციხის აღებაში. [10]

(1944): 28; Екатерина Николаевна Кушева, Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.,(Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963), 261, 269.

[6] კახაბერ დემეტრაშვილი, სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები და საქართველო XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში", ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (2023): 176.

[7] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 181; დავით კაციტაძე, ირანის ისტორია, 404-405;.

[8] დავით კაციტაძე, ირანის ისტორია, 410.

[9] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. 392.

[10] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება II ტომი, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1959), 380.

იმ დროს, 1604 წლის მაისში, მოსკოვიდან გამოგზავნეს საქართველოში ელჩობა მიხეილ ტატიშჩევის ხელმძღვანელობით. ისინი გზაში დაეწივნენ და უკან ჩამოიტოვეს სამშობლოში დაბრუნებული ზემოთ ნახსენები ლაჩინ ბეგის ელჩობა. რუსთა ელჩობა კახეთში ჩამოვიდა 1604 წლის აგვისტოში. მათ კახეთის მეფისთვის უნდა ეცნობებინათ, რომ, მისი თხოვნის თანახმად, მოსკოვის სახელმწიფო ემზადებოდა საშამხლოზე გასალაშქრებლად და ამ ლაშქრობაში ალექსანდრე მეფესაც უნდა მიეღო მონაწილეობა. ელჩებს, აგრეთვე, დავალებული ჰქონდათ მეფე ბორის გოდუნოვის ვაჟისთვის საცოლე შეერჩიათ, ხოლო ასულისათვის - საქმრო. ვინაიდან ალექსანდრე II იმ დროს ირანის შაჰთან იმყოფებოდა, რუსი ელჩები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრესთან, გიორგი ბატონიშვილთან. ამ უკანასკნელმა მეფე ბორის გოდუნოვის „წყალობა“ მიიღო და ელჩებს ხელმწიფის ყველა ბრძანების შესრულება აღუთქვა, მაგრამ ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის მამის დაუკითხავად გადაწყვეტა ვერ შეძლო. კახეთში ბატონიშვილის კარზე რუს ელჩებს შაჰ აბასის მოციქული მაჰმად ბეგი დახვდათ. ის მოსული იყო თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის, ელენეს, წასაყვანად. რუსმა ელჩებმა დაჟინებით მოითხოვეს თეიმურაზ ბატონიშვილის მოსკოვის სახელმწიფოში გაგზავნა, ვინაიდან მას შესაფერის სასიძოდ მიიჩნევდნენ. მეფე ალექსანდრე II კი ირანიდან კატეგორიულად მოითხოვდა ბატონიშვილების ირანში გაგზავნას, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული შაჰ აბასის ტყვეობიდან მისი გათავისუფლება. გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზი და ელენე ირანის შაჰთან გაგზავნა. შვილებს თან გაჰყვა დედა ქეთევანიც. შაჰ აბასმა ელენე ცოლად შეირთო.[11]

ამასობაში კვლავ გრძელდებოდა რუს ელჩებსა და გიორგი ბატონიშვილს შორის მოლაპარაკება. ამ უკანასკნელმა, 1605 წლის 1 იანვარს, ბოლოს და ბოლოს, მაინც მიიღო მოსკოვის სახელმწიფოს მეფის ერთგულების ფიცი.[12]

რაც შეეხებათ ირანის შაჰთან მყოფ ქართლისა და კახეთის მეფეებს, ოსმალებთან ბრძოლებში თავგამოჩენისთვის, ირანის მბრძანებელმა ისინი უხვად დააჯილდოვა: გიორგი მეფეს უბოძა 300 თუმანი ყოველწლიური ჯამაგირი ლაჰიჯანის შემოსავლიდან, ფუშთუქუნი (ფოშთ-ი ქუჰი) და ხოინი. სამაგიეროდ, გამოსთხოვა ლორე-დებედას ხეობა, სადაც მუსლიმური სახანო შექმნა ლორის მელიქით სათავეში. ამავ დროს, ირანის შაჰმა დებედას ქვემო წელში ჩამოასახლე თურქმანული ტომი „ბორჩალუ” და ის აღჯაყალის ციხისთავს დაუქვემდებარა. მან, ასევე, დაასაჩუქრა მეფე ალექსანდრეც: მას უბოძა მიწები ირანში და ყოველწლიურად 700 თუმანი ჯამაგირი. სამაგიეროდ, შაჰის „თხოვნით” კახეთის მეფემ საცხოვრებელი ადგილი მიუჩინა ერთ-ერთ თურქმანულ ტომს. ამავე დროს, მეფე ალექსანდრემ შაჰ აბასს “დაუთმო” კახეთის აღმოსავლეთი კარი, კაკ-ენისელი, სადაც ირანის შაჰმა მაჰმადიანური სასულთნო შექმნა, რომელიც უშუალოდ მას ემორჩილებოდა.[13]

შაჰ აბასმა იცოდა, რომ მეფე ალექსანდრე II მაინც მოსკოვის სახელმწიფოს მოიმედე იყო. ირანის შაჰისთვის ყოვლად მიუღებელი იყო საქართველოს დაახლოება რუსთა სახელმწიფოსთან. ამიტომ, მან გადაწყვიტა შური ეძია კახეთის

---

[11] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 117- 119.

[12] იქვე, 125.

[13] კაციტაძე, ირანის ისტორია, 410-411; სვანიძე; საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 232.

მეფეზე და თავისი მზაკვრული იდეის შესრულების იარაღად ალექსანდრე მეფის უმცროსი ვაჟი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე მირზა, აირჩია, რომელიც ყმაწვილობიდან ირანის კარზე იზრდებოდა. 1605 წლის დასაწყისში კონსტანტინე მირზა შაჰმა კახეთში დიდი ჯარით გამოგზავნა. მან ალექსანდრე მეფეს შაჰის საჩუქრებთან ერთად დანაბარები გადასცა, რომ კახეთის მეფეს ირანის ჯართან ერთად შირვანი უნდა დაეპყრო, რის შემდეგაც შაჰ აბასი მდიდარ მხარეს დაიბრუნებდა. ალექსანდრე II კი ყოყმანობდა, რადგან იმ დროს მოსკოვის სახელმწიფომ გააძლიერა თავისი პოლიტიკა კავკასიაში და რუსები დაღესტანში იყვნენ მოსულები. [14] კონსტანტინე მირზამ შაჰის დანაბარები შეასრულა - დახოცა ალექსანდრე მეფე და გიორგი ბატონიშვილი. ეს მოხდა ძაგემის სასახლეში, აუდიენციაზე, 1605 წლის 12 მარტს.[15] ამ მუხანათური მკვლელობით შეძრწუნებული XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ფარსადან გიორგიჯანიძე (გორგიჯანიძე) აღშფოთებას ვერ მალავს და ამბობს: „გაუწყრა ღმერთი კონსტანტილეს, სწვალა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა“. [16] რენეგატი და მკვლელი კონსტანტინე კახეთში გამეფდა კონსტანტინე I-ის სახელით (1605), თუმცა მას მალე კახელები აუჯანყდნენ და იმავე 1605 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს.[17]

რაც შეეხება მოსკოვის სახელმწიფოს ელჩებს, კახეთში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ისინი ქართლში გადავიდნენ, სადაც მოლაპარაკება გამართეს მეფე გიორგი X-სთან. უნდა ითქვას, რომ ამ მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია. რუსმა ელჩებმა 1605 წლის მაისში დატოვეს საქართველო და სამშობლოში გაემგზავრნენ.[18]

XVII საუკუნის დასაწყისში მოსკოვის სახელმწიფოში ანარქია სუფევდა. 1605 წელს მოკლეს მეფე ბორის გოდუნოვი. ქვეყანაში გამოჩნდა ცრუდიმიტრი I (1605-1606), რომელიც მეფე ივნე IV-ის (1533-1547 წლებში დიდი მთავარი; 1547-1584 წლებში მეფე) გარდაცვლილ შვილ დიმიტრიდ ასაღებდა თავს. მან ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს ძალაუფლება.

სწორედ იმ პერიოდში ირანის მხრიდან მოსკოვის სახელმწიფოში გაიგზავნა ელჩობა სეიდ აზიმის მეთაურობით. ეს ელჩობა 1606 წლის 1-ელ ივლისზე ადრე არ უნდა მოწყობილიყო, რადგან წერილში ნათქვამი იყო ირანელთა მხრიდან ქალაქ განჯის აღების ამბავი. ეს კი მოხდა 1606 წლის 1-ელ ივლისს. ეს წერილი გაგზავნილი იყო ცრუდიმიტრი I-ის სახელზე. თუმცა, როგორც ისტორიიდან ცნობილია, იმ დროს ცრუდიმიტრი I უკვე ცოცხალი აღარ იყო. მას, სახელმწიფოს სათავეში მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, 1606 წლის მაისში აუჯანყდნენ, სამეფო ტახტიდან ჩამოაგდეს, მოკლეს და ქვეყანაში გაამეფეს ვასილი ივანეს ძე შუისკი - ვასილი IV (1606-1610). [19] ამავე დროს, მოსკოვის სახელმწიფოში გამოჩნდა

---

[14] სარგის კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია (ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა, 1926), 18.

[15] ნიკოლოზ ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე) (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1958), 290; მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 250.

[16] კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, 18.

[17] ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“: 153.

[18] იქვე, 146-147.

[19] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг. 401-402;

ცრუდიმიტრი II (1607-1610), რომელმაც ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიაზე მოიპოვა ძალაუფლება, თუმცა ის შუისკის მომხრეებთან ბრძოლაში დამარცხდა და მოგვიანებით, 1610 წლის დეკემბერში, სიცოცხლეს გამოასალმეს.[20]

რაც შეეხება სეიდ აზიმის ელჩობას, ამასთან დაკავშირებით ვიზიარებთ ისტორიკოს პეტრე ბუშევის მოსაზრებას, რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლოა, ირანის შაჰი თავისი ელჩის პირით მოუწოდებდა მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლებას, რომ ერთობლივი ძალებით დაეწყოთ შეტევა ოსმალთა წინააღმდეგ დაღესტანსა და შირვანში. ეს იმიტომ, რომ შაჰი ალბათ ინფორმირებული იყო იმაზე, რომ 1606 წლის ნოემბერში ოსმალეთსა და ავსტრიას შორის ქ. სიტვატოროკში (უნგრეთი) დაიდო საზავო ხელშეკრულება, რის შემდეგაც მათ შორის შეწყდა სამხედრო დაპირისპირება. [21] ასე რომ, ირანს დასავლეთ ევროპის დიდი იმედი აღარ ჰქონდა და დახმარებისათვის მოსკოვის სახელმწიფოს მიმართა.

იმ დროს, მოსკოვის სახელმწიფო იბრძოდა პოლონელებისა და შვედების წინააღმდეგ. რუსებმა ვერც კავკასიაში მიაღწიეს სასურველ შედეგებს. რუსთა მთავრობამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ 1607 წელს ირანში ელჩობა გაგზავნა მკაცრი პროტესტით, სადაც ის გმობდა მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკას კახეთის მიმართ. ელჩობას, ასევე, ევალებოდა მოეხსენებინა ირანის შაჰისთვის, რომ მოსკოვის სახელმწიფო კვლავ აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ომისათვის და ამ საქმისთვის მატერიალური დახმარებაც კი გაუწია საღვთო რომის იმპერატორ რუდოლფ II-ს (1576-1612). რუსთა ამ ელჩობამ ირანამდე ვერ ჩააღწია, რადგან ელჩობის მეთაური, ივანე რომოდანოვსკი გზაში დაიღუპა მდინარე ვოლგის იმ რაიონში, რომელიც გლეხთა მღელვარებას მოეცვა. [22]

სეფიანთა ირანი 1611 წლამდე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის მარტო ებრძოდა ოსმალეთის იმპერიას. მალე მათ შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება (1612 წლის 20 ნოემბრის სტამბოლის ზავი), [23] რომელიც წამგებიანი იყო ირანისათვის. თუმცა, ამ ზავის შემდეგ ირანსა და ოსმალეთს შორის წინააღმდეგობა არ შენელებულა.

შაჰ აბასი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ ვერ შეძლო ქართლისა და კახეთის მტკიცედ შემოერთება. ამ ყველაფერს ემატებოდა ის, რომ სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი ახალციხითურთ კვლავ ოსმალთა ხელში რჩებოდა. ირანის მბრძანებელმა ისარგებლა ოსმალეთთან დადებული 1612 წლის ზავით, მოსკოვის სახელმწიფოში შექმნილი ვითარებით და განიზრახა საქართველოს საკითხის გადაწყვეტა. 1613 წლის შემოდგომაზე ის მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოსკენ დაიძრა. 1614

[20] Сергей Федорович Платонов, Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. (опыт изучения общественного строя и сословных отношений в Смутное время) с приложением двух карт, (Санкт-Петербург: Издательство склад издания у Я. Башмакова и К°, 1910), 458.

[21] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 244.

[22] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 420.

[23] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 249.

წელს მოხდა შაჰ აბასის პირველი ლაშქრობა საქართველოში. ყიზილბაშებმა საშინლად ააოხრეს აღმოსავლეთი საქართველო, განსაკუთრებით კი - კახეთი.[24]

საქართველოსთვის ასეთ ძნელბედობის ჟამს, მოსკოვის სახელმწიფო მისთვის ვერ იცლიდა. რუსები იმ დროს ეომებოდნენ პოლონელებსა და შვედებს, ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყანაში შიდაფეოდალური მღელვარება მძვინვარებდა. ეს მღელვარება იმით დასრულდა, რომ 1613 წლის 21 თებერვალს მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო ტახტზე აიყვანეს მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი (1613-1645). ამით მოსკოვის სახელმწიფოში ახალ დინასტიას დაედო სათავე, რომლის წინაშე რთული ამოცანა იყო გადასაწყვეტი: ქვეყანაში წესრიგის დამყარება და პოლონელებისა და შვედების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა. ამისთვის კი, სხვადასხვა საკითხთან ერთად, შექმნილი სიტუაცია საჭიროებას მოითხოვდა, რომ კვლავ აღედგინა დიპლომატიური და სავაჭრო კავშირები როგორც ევროპის ქვეყნებთან, ასევე ირანთან. მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებს ირანთან ურთიერთობის აღდგენის დაჩქარებას სხვა გარემოებამაც უბიძგა. იმხანად კაზაკებმა ივანე ზარუცკისა და მარინა მნიშეკის მეთაურობით ქალაქი ასტრახანი დაიკავეს და პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ სამეფო ტახტზე დაესვათ მარინა მნიშეკის ორი წლის ვაჟი ივანე, რომელიც ცრუდიმიტრი II-ისგან ჰყავდა. აჯანყებულებმა შაჰ აბასთნ ელჩებიც გაგზავნეს.[25]

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ იმ დროს, 1613 წელს, მოსკოვში ჩავიდა ირანის შაჰის შიკრიკი მიუგიფ ბეგი, რომელიც ჯერ კიდევ 1607 წელს (მეფე ვასილი IV შუისკის ზეობის დროს) გაიგზავნა მოსკოვში, მაგრამ რუსთა ქვეყანაში შექმნილი არეულობისა და ქაოსის გამო, მან მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ მიაღწია მოსკოვამდე. შაჰ აბასი, შიკრიკის პირით, მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლებას, ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, ქალაქების: ბაქოსა და. დარუბანდის გარდა, ქალაქ შემახასაც სთავაზობდა. ეს უკანასკნელი შაჰის ჯარებმა აიღეს 1607 წლის 25 ივნისს.[26]

აღსანიშნავია, რომ, ასევე, 1613 წელს, მოსკოვში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩობა. ეს ელჩობა შაჰ აბასმა მოსკოვში გააგზავნა 1608 წელს, მაგრამ მანაც დაგვიანებით, მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ჩააღწია მოსკოვში ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო. ელჩობას მეთაურობდა ამირ ალი ბეგი, რომელსაც შეხვედრა მოუწია უკვე ახალ მეფესთან, მიხეილ რომანოვთან. ელჩს დავალებული ჰქონდა ირანის შაჰისგან შემდეგი: ა) დაეზვერა მოსკოვის სახელმწიფოში შექმნილი მდგომარეობა; ბ) აღედგინა მოსკოვის სახელმწიფოსთან სავაჭრო-დიპლომატიური კავშირები, რომლების დაირღვა რუსთა ქვეყანაში შექმნილი არეულობის გამო; გ) ეთხოვა მოსკოვის სახელწიფოს მეფისთვის ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარება. პირველ რიგში, ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მოსკოვის სახელმწიფოს სეფიანთა ქვეყნისთვის ზურგი გაემაგრებინა და მდინარეებზე: თერგზე, სუნჯასა და ყოისუზე

[24] მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 263-266; ვლადიმერ ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობების საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ (თბილისი, „მეცნიერება“, 1969), 80-90.

[25] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 13.

[26] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг., 429-432.

ციხე-სიმაგრეები აეგო. სამწუხაროდ, ალი ბეგისა და მოსკოვის სახელმწიფოს მეფის მოლაპარაკების შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია არსებობს. ის კი ნათელია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ალი ბეგის ელჩობამ მაინც მოახერხა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა.[27]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო კარზე გადაწყდა, ელჩობა გაეგზავნათ ირანში. იმავე, 1613 წლის ნოემბერში, ამირ ალი ბეგის ელჩობასთან ერთად, მოსკოვიდან ირანში გაიგზავნა საპასუხო ელჩობა მიხეილ ტიხანოვის მეთაურობით. ელჩობას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენაში. იმის გამო, რომ ვოლგა-ასტრახანის გზაზე მღელვარება მძვინვარებდა და ქალაქი ასტრახანი კაზაკების ხელში იყო, ამიტომ ელჩები უჩვეულო გზით, შუა აზიის (სამარა, ხივა) გავლით, გაემართნენ ირანში.

ამასობაში, 1614 წლის მაისში, მეფის ჯარმა ქ. ასტრახანი გაათავისუფლა აჯანყებულებისაგან და ვოლგა-ასტრახან-კასპიის საზღვაო-სამარშრუტო გზა უსაფრთხო გახდა. მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებმა გადაწყვიტეს დროულად შეეტყობინებინათ ირანის შაჰისთვის, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დასრულდა. ამისთვის, მათ ირანში შიკრიკი ივანე ბრეხოვი გაგზავნეს.[28]

უნდა ითქვას, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურთათვის შეშფოთება მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. მართალია, შაჰ აბასი აშკარად არ ამჟღავნებდა თავის დაინტერესებას ქ. ასტრახანის მიმართ, მაგრამ გამორიცხული არ იყო, რომ მას ესარგებლა რუსთა ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომით და მნიშეკ-ზარეცკის დახმარებით, იქ თავისი ჯარი არ მიეყვანა. ირანის შაჰს ამის საბაბად შეიძლება გამოეყენებინა ის ფაქტი, რომ ამ არეულობის დროს, მოსკოვის სახელმწიფოს საზღვრებში დარჩენილი იყო ბევრი ირანელი ვაჭარი და დიპლომატი. შაჰ აბასი აჯანყებულებს დახმარებასაც კი ჰპირდებოდა პურითა და ფულით (12 ათასი თუმანი).[29]

ივანე ბრეხოვი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ ტიხანოვის ელჩობაზე უფრო ადრე ჩავიდა ირანში. ცნობილია, რომ ი. ბრეხოვი ირანში ჩავიდა 1614 წლის ოქტომბერში, ხოლო მ. ტიხანოვი - იმავე წლის დეკემბერში. როდესაც შეიტყო შაჰ აბასმა, რომ მოსკოვის სახელმწიფოში შიდაფეოდალური ომი დასრულდა, რუსთა ელჩობის წინაშე მოჩვენებითი სიხარული გამოხატა. მან გადაწყვიტა რუსთა ქვეყანაში საპასუხო ელჩობა გაეგზავნა.

ამ ელჩობის მიზანი არ იყო მოსკოვის სახელმწიფოს ახალი მეფისათვის ტახტზე ასვლის მილოცვა - არამედ ჭკვიან და ცბიერ შაჰს სხვა მიზნები ამოძრავებდა. კერძოდ ის, რომ მას სურდა, დაუყოვნებლივ განეახლებინა მოსკოვთან ურთიერთობა, რადგან ოსმალეთისგან საფრთხე კარზე მოსდგომოდა. შაჰი დაინტერესებული იყო იმით, რომ რუსებს ჩრდილო კავკასიის მდინარეებზე ციხე-სიმაგრეები აეგოთ და ამით ირანისთვის ზურგი გაემაგრებინათ.[30] 1615 წელს სწორედ ამ მიზნით გაიგზავნა მოსკოვში ელჩობა ბულათ ბეგის მეთაურობით. რუს ბოიარებთან საუბრის დროს ირანელმა ელჩმა, რომელიც უმტიცებდა მათდამი

[27] იქვე, 18; 39-40.
[28] იქვე, 41.
[29] იქვე, 69-72.
[30] იქვე, 96.

ირანის შაჰის კეთილგანწყობას, გაანდო შაჰის საიდუმლო მითითება იმის შესახებ, რომ, ირანისა და მოსკოვის სახელმწიფოთა დაახლოების მიზნით, აშენებულიყო ქალაქები ყუმუხთა და ყაბარდოელთა მიწებზე, აგრეთვე, მდინარეებზე - სუნჯასა და ყოისუზე. ეს იყო დიპლომატიური ხერხი, სადაც იკვეთებოდა ირანის შაჰის სურვილი, რომ დაახლოებულიყო მოსკოვისა და სეფიანთა სახელმწიფოთა საზღვრები და რომ მათ შორის არ ყოფილიყო სხვა რომელიმე ქვეყნის ტერიტორია. ამისათვის შაჰ აბასი მზად იყო მოსკოვის სახელმწიფოს მეფისთვის დაეთქმო ქალაქი შემახა.[31]

თუ არ ჩავთვლით ერთი წლით ადრე მოსკოვში გაგზავნილ ირანის შიკრიკის მისიას (1614-1616), რომელსაც ვაჭარი ხაჯი მურთაზი მეთაურობდა და რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოსკოვის სახელმწიფოში ვითარების გაცნობა, სწორედ ბულათ ბეგი იყო ირანის შაჰის მხრიდან ის პირველი წარგზავნილი, რომელიც ოფიციალურად აღიარებდა მოსკოვის სახელმწიფოში რომანოვების დინასტიის გამეფებას.[32]

რაც შეეხება საქართველოს საკითხს, მოსკოვის სახელმწიფოს მხარე ირანს პროტესტს უცხადებდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არღვევდა კახეთის სამეფოსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის 1587 წლის 27 სექტემბერს დადებულ ერთგულების ფიცს. ბულათ ბეგის ელჩობას რუსთა მეფისთვის არაფერი მოუხსენებია საქართველოს შესახებ. ამიტომ მოსკოვის სახელმწიფოს მხარემ ირანში შიკრიკი გრიგორი შახმატოვი გაგზავნა (1615-1616).[33] მაგრამ ამ მისიას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან, ირანის შაჰის თქმით, საქართველო ოდითგანვე ირანის მორჩილი ქვეყანა იყო და მას შაჰ აბასი თავისთვის იჩემებდა.

კახეთში კი იმ დროს აჯანყება მზადდებოდა. დასავლეთ საქართველოდან კახეთში დაბრუნებულმა მეფე თეიმურაზ I-მა (1606-1648 კახეთის მეფე; 1625-1632 ქართლ-კახეთის მეფე) კახელებს შეატყობინა ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყების მზადება. მართლაც, ირანისაგან შევიწროებულმა კახელებმა 1615 წელს, ალავერდობა დღეს (ძვ. სტ. 15 სექტემბერი), თავად დავით ჯანდიერის მეთაურობით, აჯანყება დაიწყეს. კახეთის აჯანყებას შირვანიც აჰყვა. ამ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა შაჰ აბასის ერთ-ერთი სარდალი, წარმოშობით შირვანელი დელი მელიქი, რომელმაც მეფე თეიმურაზს ერთგულება განუცხადა. კახეთ-შირვანის აჯანყებამ სულ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.[34]

შაჰ აბასმა ამ აჯანყების ამბავი რომ შეიტყო, სასწრაფო ზომები მიიღო და საომარ სამზადისს შეუდგა. მან დიდხანს არ დააყოვნა და 1616 წლის გაზაფხულზე მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოსკენ დაიძრა. მტრის სიმრავლემ სძლია აჯანყებულებს, რომლებიც დამარცხდნენ. ირანის მბრძანებელმა საშინლად

[31] Гюльшан Сеидова, Азербаиджан во взаимоотношениях Сефевидской империи и Русского государство в XVII веке (по русским источникам) (Баку: «Нурлан»", 2007), 47.

[32] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 96.

[33] იქვე, 122.

[34] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 265; Илья Павлович Петрушевский, Азербайджан в XVI–XVII веках, сборник статей по истории Азербайджана, выпуск I (Баку, Изд-во АН Азер- байджанской ССР, 1949), 249.

ააოხრა კახეთი, რომელმაც ამ შემოსევის შედეგად თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა.[35]

ირანის მბრძანებელი, კახეთის შემდეგ, ქართლს შემოესია. ირანის შაჰმა მეფე თეიმურაზის მომხრე თავადების მამულები დაარბია და მათი შვილების დიდი ნაწილი თავის ჯარში ჩარიცხა. შაჰმა ქართლში ბევრი ტყვე იგდო ხელთ და გამარჯვებული უკან გაბრუნდა.[36]

როდესაც შაჰ აბასი კახეთის წინააღმდეგ იბრძოდა, ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი განაახლა, თუმცა ირანელებმა წარმატებით მოიგერიეს ოსმალთა შეტევა. მალე, 1616 წელს, მათ შორის ზავი დაიდო 1612 წლის ზავის პირობების მიხედვით.[37]

საქართველოს საქმეების შემდეგ, შაჰ აბასმა ყურადღება ოსმალეთთან მოახლოებულ ომზე გადაიტანა. ის კვლავ მოსკოვის სახელმწიფოს მხრიდან ოსმალთა წინააღმდეგ დახმარებაზე ფიქრობდა. ირანის შაჰი მისიებს აგზავნიდა მოსკოვში, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. სულ ბოლოს, შაჰმა მოსკოვში შიკრიკი გაგზავნა, ვაჭარი მოჰამედ ყაზიმი, თუმცა ამ მისიას ირანელთათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.[38]

უნდა აღინიშნოს, რომ 1616 წლის ზაფხულამდე, ზემოთ ნახსენები გრიგორი შახმატოვის მისიის დაბრუნებამდე, მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებს მწირი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოში მომხდარ ამბებზე. მათ იცოდნენ, რომ 1614 წლის კახეთის დარბევის შემდეგ ირანი აღარ აგრძელებდა აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურთ ირანთან სურდათ მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება. ეს იმიტომ, რომ მოსკოვის სახელმწიფო კვლავ აგრძელებდა ომს პოლონელებისა და შვედების წინააღმდეგ და მატერიალურ დახმარებას საჭიროებდა. ამის გამო, მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებმა გადაწყვიტეს ფულადი დახმარება ეთხოვათ სეფიანთა ქვეყნისაგან.

ამ მიზნით მოსკოვის სახელმწიფოს მეფის კარზე გადაწყვიტეს, გაეგზავნათ ირანში ელჩობა. ვინაიდან გ. შახმატოვი ჯერ კიდევ დაბრუნებული არ იყო, მათ არ იცოდნენ ირანის ახალ აგრესიაზე საქართველოს მიმართ. ამიტომ, როდესაც 1616 წლის 23 მაისს მოსკოვიდან ირანში ელჩობა გააგზავნეს თევდორე ლეონტიევისა და ბოგდან ტიმოფეევის მეთაურობით, ელჩებს დაავალეს ზემოთ ნახსენებ სესხთან ერთად, მხოლოდ შეეხსენებინათ ირანის შაჰისთვის ის გარემოება, რომ კახეთის სამეფო მოსკოვის სახელმწიფოს ვასალი იყო. მაგრამ მაშინ, როდესაც გ. შახმატოვი მოსკოვში დაბრუნდა (1616 წლის 15 ივლისს) ირან-საქართველოს შორის არასახარბიელო ამბით, მოსკოვის სახელმწიფოს სამეფო კარზე თ. ლეონტიევის ელჩობასთან სასწრაფოდ შიკრიკი გააგზავნეს, რომელსაც ირანის

---

[35] Нодар Тадеозович Накашидзе, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века (Тбилиси, «Сабчота Сакартвело», 1968), 58. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობების საქართველოს შესახებ, 108-111.

[36] ბერძენიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, 292.

[37] ვალერიან გაბაშვილი (რედაქტორი), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, (თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957), 344; Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 60-61.

[38] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 134.

შაჰისთვის პროტესტი უნდა განეცხადებინა საქართველოში განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის გამო.[39]

უნდა აღინიშნოს, რომ არც თ. ლეონტიევის ელჩობას მოჰყოლია დიდი შედეგი მოსკოვის სახელმწიფოსთვის. ეს ელჩობა 1616 წლის ბოლოს ჩავიდა შაჰთან მაშინ, როცა ოსმალთა ჯარი ირანის ტერიტორიაზე შეჭრილიყო და ქალაქი თავრიზი აეღო. სავარაუდოდ, ელჩმა ლეონტიევმა პროტესტი განუცხადა ირანის შაჰს საქართველოზე განხორციელებული აგრესიის გამო. ისიც აღსანიშნავია, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მხარემ უარი განუცხადა ირანს, ჩრდილოეთ კავკასიაში აეშენებინა ციხე-სიმაგრეები. რუსთა მეფის ელჩი შაჰს ამის გაკეთებას მაშინ შეჰპირდა, როდესაც ბოლომდე მოაგვარებდა საქმეს პოლონეთთან და შვედეთთან. ყოველივე ამ გარემოებამ ირანის შაჰის კარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათთვის მოსკოვის სახელმწიფოსთან ურთიერთობა უკვე პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა. თუმცა, ირანის შაჰმა, ამ ელჩობის საპასუხოდ, მოსკოვში მაინც გაგზავნა თავისი ელჩობა ქაია სულთანისა და ბულათ ბეგის მეთაურობით. 1617 წლის გაზაფხულზე ეს ელჩობა რუსთა ელჩობასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. ამ შემთხვევაში კვლავ გამოიკვეთა ირანის შაჰის პოზიცია მოსკოვის სახელმწიფოსთან მიმართებაში. მართალია, მან ლეონტიევის ელჩობა ფულის სესხებაზე უარით გაისტუმრა, თუმცა ქაია სულთანსა და ბულათ-ბეგს 7 ათასი მანეთის ღირებულების ვერცხლის ზოდები გაატანა მოსკოვში, რომელთაც საჩუქრად უგზავნიდა რუსთა მეფეს.[40] თუ გავიხსენებთ, რომ შაჰი აჯანყებულ კაზაკებს 12 ათას თუმანს ჰპირდებოდა, ეს თანხა საკმაოდ მცირედ და შეუფერებლად მოჩანს მოსკოვის ხელმწიფისათვის. ამ ელჩობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ მოსკოვის სახელმწიფოს ირანისათვის ზურგი გაემაგრებინა და ჩრდილოეთ კავკასიაში ციხე-სიმაგრეები აეგო. მოსკოვმა ეს საკითხი განუსაზღვრელი ვადით გადადო. ეს იმიტომ, რომ იმ დროს მოსკოვის სახელმწიფო კვლავ აწარმოებდა ომს პოლონელებთან და შვედებთან, ხოლო ომისათვის საჭირო თანხა მას აღარ გააჩნდა და ამის გამო გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. შესაბამისად, მეფე მიხეილ რომანოვის სამეფო კარმა 1617 და 1618 წლებში, ინგლისსა და ნიდერლანდებში ფულის სასესხებლად ელჩები გაგზავნა, თუმცა მათგან საჭირო რაოდენობის თანხა ვერ მიიღო.[41] ამასობაში მოსკოვის სახელმწიფომ გააფორმა საზავო ხელშეკრულებები შვედეთთან (1617 წლის აგვისტოში) და პოლონეთთან (1618 წლის დეკემბერში).[42]

იმხანად კვლავ გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის ომი. ამ ომში ოსმალთა სარდლობას ევალებოდა აეღო და დაექცია ქალაქი არდებილი, რომელიც სეფიანთა დინასტიის საძვალეს წარმოადგენდა, გაჭრილიყო საქართველოში, დაეკავებინა ქალაქი თბილისი და სამეფო ტახტზე თეიმურაზ I დაესვა. თუმცა

[39] იქვე, 142-143.

[40] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 54; Сеидова, Азербаиджан во взаимоотношениях Сефевидской империи и Русского государство, 48.

[41] Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 71.

[42] იქვე, 72.

ოსმალებმა ეს ვერ მოახერხეს და მათ შორის 1618 წლის 26 სექტემბერს სერაფის ველზე (სამხრეთ აზერბაიჯანი) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება.[43]

ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ თეიმურაზ მეფემ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა გადაწყვიტეს, დახმარებისათვის მოსკოვის სახელმწიფოს მეფისთვის მიემართათ. 1618 წლის ოქტომბერში მათ ამ მიზნით მოსკოვში თავიანთი ელჩი, იღუმენი ხარიტონი, გაგზავნეს. [44] მოსკოვის სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, ირანში გაგზავნა ელჩობა მიხეილ პეტრეს ძე ბარიატინსკისა და ივანე ივანეს ძე ჩიჩერინის მეთაურობით. ამ ელჩობამ 1618-1620 წლებში იმოგზაურა ირანში. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ირანის შაჰისგან ფულის სესხება. მოსკოვის სახელმწიფოს როგორც წინა ელჩობას, რომელიც ამავე საკითხზე იმყოფებოდა ირანში, ასევე, ამ ელჩობასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. თვით მიხეილ ბარიატინსკი ქალაქ ყაზვინში გარდაიცვალა, ხოლო მისი შემცვლელი ჩიჩერინი და ტიუხინი (რანგით მესამე პირი ელჩობაში), შაჰ აბასმა მეტად გულცივად მიიღო. [45] საქმე ის იყო, რომ ხსენებული ელჩობის ირანში ჩასვლისას ეს ქვეყანა ოსმალეთთან კვლავ ომში იყო ჩაბმული და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდა. ზემოთ ნახსენები სერაფის ზავის შემდეგ ირანი მოსკოვის სახელმწიფოს დაუხმარებლად უკვე მეორედ იმარჯვებდა ოსმალეთთან ბრძოლაში. ამის გარდა, სეფიანთა სახელმწიფოს, ოსმალეთისა და მოსკოვის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, აბრეშუმის ექსპორტისათვის ახალი გზა ეხსნებოდა. ეს იყო სამხრეთის გზა: სპარსეთის ყურე-ინდოეთის ოკეანე-ატლანტის ოკეანე. [46] ასე რომ, ოსმალეთისგან საფრთხის ლიკვიდაციის საკითხში შაჰ აბასი მოსკოვის სახელმწიფოს სახით მოკავშირეს კარგავდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ირანის მბრძანებელმა საჭიროდ ჩათვალა, მოსკოვში საპასუხო ელჩობა მიევლინა ბულათ ბეგის მეთაურობით. როგორც ჩანს, ირანის შაჰს არ სურდა ყველანაირი კავშირი გაეწყვიტა რუსთა ქვეყანასთან და მასთან სავაჭრო ურთიერთობით შემოფარგლულიყო. ირანელი ელჩის ძირითად მიზანს მოსკოვის სახელმწიფოსთან სწორედ სავაჭრო ურთიერთობის გაგრძელება წარმოადგენდა. მაგრამ იყო კიდევ ერთი აუცილებელი საკითხი - მოსკოვის სახელმწიფოს გაემაგრებინა ზურგი ჩრდილოეთიდან, რაც გამოიხატებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში ციხე-სიმაგრეების აშენებით. ასე რომ, ცბიერი და, ამავე დროს, ჭკვიანი შაჰი, პოლიტიკურ ჭრილში, კვლავაც ფიქრობდა მოსკოვის სახელმწიფოს გამოყენებას.

ბულათ ბეგმა, რომელიც მანამდე რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვის სახელმწიფოში, ამჯერად სულ სხვა ქვეყანა იხილა. მოსკოვის სახელმწიფოში, შვედეთთან და პოლონეთთან დაზავების შემდეგ, ქვეყანაში ძვრები მომხდარიყო. რუსთა ქვეყანა ევროპის ოცდაათწლიან ომში (1618-1648) იყო ჩაბმული;

---

[43] კაციტაძე, ირანის ისტორია, 411; სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 274.

[44] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 275.

[45] Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 176-177, 207,

[46] იქვე, 238.

ოსმალეთთან მოლაპარაკებების შემდეგ, თავისი სამხრეთის საზღვრები მოწესრიგებული ჰქონდა.[47]

აღსანიშნავია, რომ, როდესაც ბულათ ბეგი მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა, სწორედ იმ დროს იქ იმყოფებოდა მეფე თეიმურაზ I-ის ელჩი ხარიტონი. მკვლევარ-ისტორიკოს ნოდარ ნაკაშიძის მოსაზრებით, სწორედ საქართველოს ელჩობის შთაბეჭდილებით განუცხადა მკაცრი პროტესტი მოსკოვის სახელმწიფოს მხარემ შაჰ აბასის ელჩობას იმის გამო, რომ ირანმა დაარბია აღმოსავლეთი საქართველო და კვლავაც აგრძელებდა მის წინააღმდეგ აგრესიას.[48]

მეფე თეიმურაზ I ცდილობდა ირანის წინააღმდეგ მოსკოვის სახელმწიფოსა და ოსმალეთის გამოყენებას, თუმცა - უშედეგოდ. მან გადაწყვიტა, პირადად ხლებოდა ოსმალეთის სულტანს, ვინაიდან, კახეთის მეფის აზრით, სწორედ ოსმალეთი იყო ის ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ირანისათვის. ამ მიზნით, 1621 წელს, თეიმურაზ მეფე ხუთასკაციანი ამალით ჩავიდა სტამბოლში. ფარსადან გიორგიჯანიძის გადმოცემით, ოსმალეთის სულტნის კარზე მეფე თეიმურაზს, ირანელთა წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, რჯულის შეცვლა და ისლამზე მოქცევა შესთავაზეს, რაზეც კახეთის მეფემ სასტიკი უარი განაცხადა: „ამდენს ამისთვის ვირჯებიო, რომ რჯული არ დავაგდოო და იმათი რჯული არ დავიჭირეო. ახლა რით იქნებისო, რომე თქვენი რჯული დავიჭირო“.[49] ასე რომ, მეფე თეიმურაზ I-მა ვერ მიიღო დახმარება ვერც მოსკოვის სახელმწიფოსგან და ვერც ოსმალეთის იმპერიისგან.

შაჰ აბასი ვერ ურიგდებოდა მეფე თეიმურაზის ასეთ პოლიტიკას და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მას გაეწყვიტა კავშირი ოსმალეთთან, მაგრამ - ამაოდ. მეფე თეიმურაზი შაჰ აბასს არ ენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი დედა ქეთევანი და ორივე ვაჟი, ლევანი და ალექსანდრე, ირანის შაჰს თავისთან მძევლად ჰყავდა. როდესაც კახეთის მეფე კვლავ აგრძელებდა ირანის საწინააღმდეგო პოლიტიკას, შაჰმა გადაწყვიტა, შური ეძია მაზე. მისი ბრძანებით, 1620 წელს თეიმურაზ მეფის ორივე ვაჟი დაასაჭურისეს, რის შემდეგაც უმცროსი ლევანი გარდაიცვალა, ხოლო უფროსი ალექსანდრე ჭკუიდან შეიშალა. ცოტა მოგვიანებით კი, 1624 წლის სექტემბერს, ქალაქ შირაზში წამებით მოაკვლევინა დედოფალი ქეთევანი, რომელმაც ქრისტეს სჯულისათვის მოწამეობრივი გვირგვინი დაიდგა. აღსანიშნავია, რომ ამ ამბიდან ორი წლით ადრე, 1622 წელს, ასევე, ქალაქ შირაზში ირანის შაჰმა თავისთან 1615 წლიდან ტყვეობაში მყოფი ქართლის მეფე ლუარსაბ II (1606-1615) მოაკვლევინა (ის შირაზის ციხეში საბლით მოაშთვეს).[50]

მართალია, მოსკოვის სახელმწიფოს არ მოსწონდა ირანის აგრესია საქართველოს მიმართ, მაგრამ სათანადო ზომებს ვერ იღებდა. როგორც ჩანს, მისთვის სამხრეთ კავკასია და, შესაბამისად, საქართველოსთვის დახმარების გაწევა, პრიორიტეტს არ წარმოადგენდა და მეორეხარისხოვანი პრობლემა იყო. მოსკოვის სახელმწიფოს მეფეები, როგორც ვხედავთ, საქართველოზე

---

[47] გაბაშვილი (რედაქტორი), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 346; Бушев, История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг., 240.

[48] Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 73-74.

[49] სარგის კაკაბაძე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, 23.

[50] მამია დუმბაძე (რედაქტორი), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 276; ლევან სანიკიძე, წიგნი მოწამეთა (თბილისი, „განათლება“, 1988), 389.

განხორციელებული აგრესიის გამო, ირანის შაჰის მიმართ მხოლოდ პროტესტით შემოიფარგლებოდნენ.

ამჯერადაც მოსკოვის სახელმწიფოს მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ შაჰ აბასთან საკუთარი ელჩობა გაეგზავნათ მკაცრი პროტესტით. ამ ელჩობას, რომელიც 1621 წლის 29 მაისს გაემგზავრა სეფიანთა სახელმწიფოში, ვასილ კორობინი და ოსტაფ კუვშინოვი მეთაურობდნენ. 1622 წლის 21 იანვარს შედგა ელჩების პირველი შეხვედრა შაჰ აბასთან, სადაც რუსმა ელჩებმა გადასცეს ირანის შაჰს თავიანთი მეფის დანაბარები.[51] ასევე, მათ უნდა გამოერკვიათ საქართველოს პოლიტიკური ვითარება, მისი ურთიერთობები შაჰთან, მეფე თეიმურაზ I-ის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი ურთიერთობა ოსმალეთთან.

შაჰ აბასს უკვე აღარ შეეძლო ამ ამბების იგნორირება. საჭირო იყო რაიმე გამოსავლის მოძებნა, რომელიც ამ ცბიერმა და მოხერხებულმა ადამიანმა შეძლო - მან მოსკოვის სახელმწიფოს მეფეს გაუგზავნა ქრისტიანული ეკლესიის მეტად მნიშვნელოვანი რელიკვია, კვართი, რომელზედაც იესო ქრისტეა გამოსახული - თითქოს ეს ჩაეგდოს ხელთ 1616 წელს საქართველოში. ეს მეტად მოხერხებული ნაბიჯი იყო, რადგან იმ დროს მოსკოვის სახელმწიფოს პატრიარქი იყო ფილარეტი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და, ამავე დროს, ის იყო მეფე მიხეილ რომანოვის მამა. ამ საჩუქრით შაჰ აბასი რუსთა ქვეყნის ხელისუფალთ აუწყებდა, რომ მეფე თეიმურაზს დევნიდა არა რელიგიური მოტივით, არამედ იმიტომ, რომ ის სეფიანთა და მოსკოვის სახელმწიფოთა საერთო მტერთან - ოსმალეთის იმპერიასთან ცდილობდა კავშირის დამყარებას. [52]

ამავე პერიოდში მდგომარეობა დაიძაბა ახლო აღმოსავლეთში. 1622 წელს შაჰ აბასმა მოხერხებულად გამოიყენა ინგლისსა და პორტუგალიას შორის არსებული წინააღმდეგობა და ინგლისელების დახმარებით პორტუგალიელები განდევნა კუნძულ ჰორმუზიდან. ამ კუნძულის ხელში ჩაგდებით ირანის შაჰს საშუალება ეძლეოდა ირანის აბრეშუმი ევროპაში ზღვით გაეტანა. ამის შემდეგ, 1623-1624 წლებში, შაჰ აბასის ჯარებმა დიდი წარმატებით იბრძოლეს ახლო აღმოსავლეთში.[53]

ამ შემდეგ შაჰ აბასმა გადაწყვიტა, აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა ირანის სასარგებლოდ. 1625 წლის დასაწყისში მან ყარჩიღა ხანის მეთაურობითა და გიორგი სააკაძის თანხლებით, რომელიც მის სამსახურში 1612 წლიდან იმყოფებოდა, საქართველოში დიდი ჯარი გამოგზავნა. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში ირანელთა წინააღმდეგ აჯანყება მზადდებოდა. სწორედ გიორგი სააკაძე ჩაუდგა ირანელთა წინააღმდეგ ქართველთა აჯანყებას. აჯანყებულები 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ირანელთა ჯარის ძირითად ნაწილს მოულოდნელად თავს დაესხნენ და გაანადგურეს.[54]

---

[51] Яков Николаевич Рабинович, «Василий Гаврилович Коробьин: воевода и дипломат первой трети XVII века» История и историческая память. Межвузовский сборник научных трудов. Саратовсий Государственный Университет. Выпуск 3 (2011): 168-171.

[52] Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 77; Рабинович, «Василий Гаврилович Коробьин, 171.

[53] გაბაშვილი (რედაქტორი), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 349; Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 87.

[54] გივი ჯამბურია, გიორგი სააკაძე (თბილისი: „ნაკადული“, 1964), 124.

ამის შემდეგ, ირანის მბრძანებელმა საქართველოში მრავალათასიანი ჯარი გამოგზავნა ისა ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. სოფელ მარაბდასთან 1625 წლის 1-ელ ივლისს გამართულ ბრძოლაში, ქართველები დამარცხდნენ, თუმცა ირანელთა მხრიდან უფრო მეტი იყო დანაკარგი. ქართველები ბედს არ შეურიგდნენ და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღეს, სადაც მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს.[55]

საქართველოს მიმართ ირანის აგრესიული პოლიტიკით უკმაყოფილო მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლებამ შაჰ აბასთან ელჩობა გაგზავნა თავად გრიგორი ვასილის ძე ტიუფიაკინის მეთაურობით. მოსკოვის სახელმწიფოს ხელისუფლება პროტესტს გამოთქვამდა ირანის აგრესიული პოლიტიკის გამო საქართველოს მიმართ. ამავე დროს, მეფე მიხეილ რომანოვი შუამავლობას სთავაზობდა ირანის შაჰს, რათა მეფე თეიმურაზ I ოსმალებისათვის ჩამოეშორებინა. თუ შაჰი მისცემდა მეფე თეიმურაზის უვნებლობის გარანტიას, მაშინ მოსკოვის სახელმწიფოს მეფე მზად იყო, მათ შორის შუამავლის როლი ეკისრა.

ასეთ ვითარებაში, ირანის შაჰი იძულებული იყო, კომპრომისზე წასულიყო და მეფე მიხეილ რომანოვის შუამავლობით თეიმურაზ I-ს შერიგებოდა. შაჰისთვის მხოლოდ ის იყო უსიამოვნო, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მეფე თეიმურაზ მეფის „მფარველის“ როლში გამოდიოდა. ირანის მბრძანებელს კი არ სურდა, რომ, მისი უნებლიე მონაწილეობით, მოსკოვისა და კახეთის სამეფოების ადრინდელი (1587-1606) ურთიერთობა კვლავ აღდგენილიყო. ეს მას დაუშვებლად, გამორიცხულად მიაჩნდა.[56]

1625 წელს შაჰ აბასმა მოსკოვში ელჩობა გაგზავნა გამუსლიმებული ქართველის, რუსან ბეგის მეთაურობით. რუს ბოიარებთან საუბრის დროს ელჩი საქართველოს მიმართ ირანის შაჰის აგრესიულ მოქმედებას იმით ამართლებდა, რომ თეიმურაზ მეფე მას არ ეახლა და პატიება არ სთხოვა დანაშაულისათვის, პირიქით, ირანის მტერ ოსმალეთის სულტანთან გაიქცა დახმარების სათხოვნელად. როდესაც ბოიარებმა ელჩს შეახსენეს კახეთის მეფის მოსკოვის სახელმწიფოს მეფეთა „ხელდებულება“ და დაიმოწმეს ძველი საფიცრის წიგნი, ირანის შაჰის ელჩმა ეს ყველაფერი შორს დაიჭირა და ბოიარებს მოახსენა, რომ ქართველი მეფეები არასოდეს ყოფილან მოსკოვის სახელმწიფოს მეფეთა მორჩილებაში და მათგან დამოუკიდებელნი იყვნენ.[57]

მეფე თეიმურაზისა და შაჰ აბასის მოლაპარაკების საქმეში შუამავლად ალავერდი ხან უნდილაძის ვაჟი, დაუდ ხანი გამოვიდა, რომელიც 1626 წელს თბილისში იმყოფებოდა. ის, შაჰ აბასის სახელით, მეფე თეიმურაზისაგან მოითხოვდა ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას. ამ მოლაპარაკებებმა ნაყოფი გამოიღო - მეფე თეიმურაზი შაჰ აბასთან შერიგებას დასთანხმდა, რის შემდეგაც ის 1626 წელს ირანის შაჰმა ქართლ-კახეთის მეფედ ცნო.[58]

---

[55] Накашидзе, Грузино-русские политические отношения, 89.

[56] ვალერიან გაბაშვილი, „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.)“, ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები, სტატიების კრებული, ტ. I (2016): 63.

[57] იქვე, 63-64.

[58] სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 286.

ქართლ-კახეთის საქმეების მოგვარების შემდეგ, იმავე 1626 წელს, შაჰ აბასის ჯარებმა ახალციხე აიღეს და იქიდან ოსმალები განდევნეს.[59]

ამ ამბებიდან მცირე ხნის შემდეგ, 1629 წლის იანვარში, შაჰ აბასი გარდაიცვალა, [60] რის შემდეგაც მკვეთრად შეიცვალა ვითარება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ სარბიელზე, ხოლო მოსკოვის სახელმწიფოსა და სეფიანთა ირანს შორის კვლავ გრძელდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები, სადაც საქართველოს საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - References

1. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. დონდუა, ვარლამ. დუმბაძე, მამია. მელიქიშვილი, გიორგი. მესხია, შოთა. რატიანი, პროკოფი. *საქართველოს ისტორია, I (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე).* თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1958.
2. ბერძენიშვილი, ნიკოლოზ. „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი I (1944): 9-169.
3. გაბაშვილი, ვალერიან (რედაქტორი). ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1957.
4. გაბაშვილი, ვალერიან. „ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI-XVII სს.)“. ახლო აღმოსავლეთის, კავკასიისა და საქართველოს საკითხები. სტატიების კრებული. ტ. I (2016): 21-67.
5. გელაშვილი, ნანა. *ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.).* თბილისი: „მეცნიერება“, 1995.
6. დემეტრაშვილი, კახაბერ. „სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები და საქართველო XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. XV (2023): 168-192.
7. დემეტრაშვილი, კახაბერ. „სეფიანთა ირანსა და მოსკოვის სახელმწიფოს შორის რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების მიზეზები (XVI საუკუნის 80-იანი წლები)”. დუნია №1 (2023): 77-83.
8. დუმბაძე მამია (რედაქტორი). *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი IV (საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე)*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973.
9. ეგნატაშვილი, ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. II ტომი. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი

[59] იქვე, 287.

[60] კაციტაძე, ირანის ისტორია, 420.

ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1959.
10. კაკაბაძე, სარგის. ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია. ტფილისი: ს.ს.უ.მ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა, 1926.
11. კაციტაძე, დავით. *ირანის ისტორია. III-XVIII საუკუნეები*. თბილისი: ჰოროსი XXI, 2009.
12. სანიკიძე, ლევან. *წიგნი მოწამეთა.* თბილისი: „განათლება“, 1988.
13. სვანიძე, მიხეილ. *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს.,* თბილისი: „მეცნიერება“, 1971.
14. ფუთურიძე, ვლადიმერ, *ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ.* სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ. თბილისი: „მეცნიერება“, 1969.
15. ჯამბურია, გივი. *გიორგი საკაძე.* თბილისი: „ნაკადული“, 1964.
16. ჯიქია, სერგი. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი: „მეცნიერება“, 1964.
17. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1586-1612 гг.* Москва. Издательство «Наука», 1976.
18. Бушев, Петр Павлович. *История посольств и дипломатических отношений Русского и Иранского государств в 1613-1621 гг.* Москва. Издательство «Наука», 1987.
19. Кушева, Екатерина Николаевна. *Народы Северного Кавказа и их связи с Россией в XVI-XVII вв.* Москва: Издательство Академии Наук СССР, 1963.
20. Петрушевский, И. П. *Азербайджан в XVI-XVII вв.*, сборник статей по истории Азербайджана, выпуск I. Баку, Издательство Академии Наук Азербайджанской ССР, 1949.
21. Платонов, Сергей Федорович. *Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. (опыт изучения общественного строя и сословных отношений в Смутное время)* с приложением двух карт. Санкт-Петербург, Издательство склад издания у Я. Башмакова и К°, 1910.
22. Рабинович, Яков Николаевич. «Василий Гаврилович Коробьин: воевода и дипломат первой трети XVII века» История и историческая память. Межвузовский сборник научных трудов. Саратовский Государственный Университет. Выпуск 3 (2011): 154-178.
23. Сеидова, Гюльшан. *Азербаиджан во взаимоотношениях Сефевидской империи и Русского государство в XVII веке (по русским источникам).* Баку: «Нурлан»”, 2007.